



საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო



საპარლამენტო კონსტიტუციის განხორციელების პრეაქტივა

(2020 წლის 12 დეკემბერი - 2022 წლის 17 ივნისი)

კვლევის ხელმძღვანელი

ლიკა საჯაია

წამყვანი მკვლევარი

გიგი ჩიხლაძე

მკვლევარი

თამარ ტატანაშვილი

**კვლევაში მონაწილეობისთვის მადლობას ვუხდით
„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ სტაჟიორებს:
სანდრო კინწურაშვილს, ნატალი მურვანიძეს, ელენე რაქვიაშვილს,
კესანე ფიფიას, მარიამ ნიკლაურს.**

კვლევა მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) შეხედულებებს.



საჩივრი

შესავალი	4
ძირითადი მიგნებები	4
რეკომენდაციები	5
1. მთავრობისათვის ნდობისა და უნდობლობის გამოცხადება	6
1.1. მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება	6
2. პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება	7
3. პარლამენტის წევრის კითხვა	7
4. ინტერპელაცია	11
5. მინისტრის საათი	12
6. პარლამენტში საქართველოს მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა	13
6.1 პლენარულ სხდომაზე მიწვევა	14
6.2. კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირების მოწვევა	14
7. პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების ანგარიშების მოსმენა	17
8. დროებითი საგამოძიებო კომისია	17
9. საჯარო სახსრების მართვის კონტროლი	18
9.1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში	18
9.2. აუდიტის ჯგუფი	18
9.3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ანგარიში	19
10. ნორმატიული აქტების და გარდამავალი დებულებების აღსრულების მდგომარეობის კონტროლი	20
11. თემატური მოკვლევა	21
12. საპარლამენტო კონტროლი საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე	22
12.1 ნდობის ჯგუფის საქმიანობა	22

შესავალი

საქართველოს X მოწვევის პარლამენტის საპარლამენტო კონტროლის შეფასება ეფუძნება ჩვენი ორგანიზაციის საპარლამენტო ოფისის თანამშრომლების მიერ მოკვლევით ინფორმაციის ანალიზს, პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას და პარლამენტის მიერ ჩვენი ორგანიზაციისთვის მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს. კვლევის საანგარიშო პერიოდია 2020 წლის 12 დეკემბერი - 2022 წლის 17 ივნისი.¹

ძირითადი მიზნები

საანგარიშო პერიოდში საპარლამენტო კონტროლის განხორციელების პროცესი საგრძნობლად შეაფერხა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ხასიათის მოვლენებმა, კერძოდ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, ოპოზიციის უდიდესი ნაწილის მიერ თვეების განმავლობაში პარლამენტის ბოიკოტირებამ. შედეგად, პარლამენტი, ფაქტობრივად, ოპოზიციის გარეშე აგრძელებდა მუშაობას, რაც მძიმედ აისახა მის საზედამხებველო ფუნქციებზე, შემცირდა კონტროლის მექანიზმების გამოყენება, ხოლო რისი გამოყენებაც მოხდა, ხშირად უკიდურესად ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

საპარლამენტო ზედამხებველობის განხორციელებისას, წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემას წარმოადგენდა ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირთა დამოკიდებულება საპარლამენტო კონტროლისადმი, განსაკუთრებით მაშინ, თუკი კონტროლის ინიციატორი ოპოზიცია იყო. ასევე, პრობლემად დარჩა პარლამენტის მიერ საკუთარი ვალდებულებების დროული და ეფექტიანი შესრულება, მაგალითად, ანგარიშვალდებულ ორგანოების ანგარიშების განხილვა და პარლამენტის მიერ გაცემულ რეკომენდაციათა შესრულების მონიტორინგი. საპარლამენტო კონტროლი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს სფეროებში, მაგ., როგორცაა უსაფრთხოების სექტორი, კვლავ არაეფექტურია, რასაც არაერთ პრობლემასთან ერთად, არასათანადო საკანონმდებლო გარანტიებიც განაპირობებს.

სტატისტიკური მონაცემები

- პარლამენტში **22 თემატური მოკვლევის ჯგუფი** შეიქმნა.
- დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე **დარეგისტრირდა 4 მოთხოვნა**, საიდანაც მხოლოდ **1 შეიქმნა** - 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია (ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს მიერ ინიცირებული).
- პარლამენტის წევრებმა ანგარიშვალდებულ ორგანოებს 2922 შეკითხვა გაუგზავნეს, **რომელთაგან 371 უპასუხოდ დარჩა**.
- 6 ინტერპელაციის ნაცვლად ჩატარდა **ერთი ინტერპელაცია** და გაიმართა **19 მინისტრის საათი**
- კომიტეტის სხდომაზე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირი **19-ჯერ დაიბარეს**, აქედან, **12 შემთხვევაში**, როდესაც დაბარების ინიციატორი ოპოზიცია იყო, ანგარიშვალდებულ პირები **სხდომაზე არ გამოცხადდნენ**.

ძირითადი გამოწვევები

- პარლამენტს საანგარიშო პერიოდში არ გამოუყენებია საპარლამენტო კონტროლის შემდეგი მექანიზმები: არ მოუთხოვია პრემიერ-მინისტრის რიგგარეშე ანგარიშის მოსმენა, არ დაუბარებია პლენარულ სხდომაზე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირი პარლამენტის წევრთა 1/3-ის მოწვევით, უმრავლესობის ფრაქციას არ დაუბარებია კომიტეტზე მთავრობის ან სხვა ანგარიშვალდებულ პირი;

1 “საკანონმდებლო რეგულაცია კვლევაში მოცემულია საანგარიშო პერიოდის მიხედვით”

- საანგარიშო პერიოდში პარლამენტში შევიდა 25 ანგარიში და მათგან 9 განუხილველი იყო. სისტემატიური ხასიათი აქვს ანგარიშების განხილვის მრავალგზის გადავადებას, 2020 წლის საქმიანობის ანგარიშები ხშირად ერთი და მეტი წლის დაგვიანებით განიხილება;
- მნიშვნელოვანი პრობლემაა გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის კუთხით ქმედითი მექანიზმის არარსებობა. პარლამენტი არ იყენებს მის ხელთ არსებულ ბერკეტებს, რათა მოხდეს ნდობის ჯგუფის, თემატური მოკვლევის ჯგუფებისა და კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლი;
- მთავრობის წევრები პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან საპარლამენტო კონტროლს, განსაკუთრებით, თუკი კონტროლის ინიციატორი ოპოზიციანია. მაგ., ოპოზიციურმა ფრაქციებმა 12-ჯერ დაიბარეს ანგარიშვალდებული პირები კომიტეტის სხდომაზე და ისინი არცერთ შემთხვევაში არ გამოცხადდნენ, 371 პასუხგაუცემელი შეკითხვიდან 280-ის ავტორი ოპოზიციანია.

რეკომენდაციები

- საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები უფრო ინტერსიურად უნდა გამოიყენებოდეს და საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისას პარლამენტის წევრები დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს უნდა ავლენდნენ. საპარლამენტო ზედამხედველობა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს უნდა შეეხებოდეს და ნაკლებად იყოს ნაკარნახევი ვინროპარტიული დღის წესრიგით.
- როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ასევე ოპოზიციის წევრები უნდა იყენებდნენ საპარლამენტო კონტროლის ყველა მექანიზმს, მათ შორის, ქმნიდნენ საგამოძიებო კომისიებს და დადგენილ ვადაში ისმენდნენ ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშებს.
- საპარლამენტო კონტროლის პროცესში, ოპოზიციის სრულფასოვანი ჩართულობისა და მისი როლის გაძლიერებისთვის, უნდა შეიქმნას მყარი საკანონმდებლო გარანტიები:
 - რეგლამენტით უნდა იყოს უზრუნველყოფილი საპარლამენტო თანამდებობებზე არჩევის პროცესში ოპოზიციის სათანადო მონაწილეობა და მათთან კონსულტაციის გავლის ვალდებულება;
 - დაუშვებელი უნდა იყოს პარლამენტის მიერ დამოუკიდებელი თანამდებობის პირების არჩევა ოპოზიციურ პარტიებთან კონსენსუსის გარეშე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ მანდატს ფლობს უმრავლესობა. გენერალური აუდიტორისა და გენერალური პროკურორის ასარჩევად, აუცილებელი უნდა იყოს ოპოზიციის უმრავლესობის თანხმობა. უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები პარლამენტის უმრავლესობისა და უმცირესობის მხარდაჭერის საფუძველზე უნდა ინიშნებოდნენ;
 - ოპოზიციის როლის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეების თანამდებობების, რიგ შემთხვევებში, ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ დაკავება. კომიტეტების თავმჯდომარეების თანამდებობები პროპორციულად უნდა ნაწილდებოდეს წარმოდგენილ პოლიტიკურ ძალებს შორის. ოპოზიციის წარმომადგენლები, მათ შორის, უნდა ხელმძღვანელობდნენ შემდეგ კომიტეტებს: ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი.
 - საპარლამენტო კონტროლის კონკრეტული მექანიზმების გამოყენებისას უნდა გაიზარდოს ოპოზიციის გარანტიები. მაგ., ოპოზიციის წევრები უნდა იყვნენ პრივილეგირებულნი მთავრობისთვის შეკითხვების დასმის დროს (კერძოდ, მათ უნდა ჰქონდეთ უფლება გახსნან დებატები. პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური ანგარიშის განხილვისას, ინტერპელაციისას ოპოზიციის წევრებს უფლება უნდა ჰქონდეთ, აღმასრულებელ ხელისუფლებას, უმრავლესობის წარმომადგენლებთან შედარებით, უფრო მეტი კითხვა დაუსვან);

ოპოზიციის წევრებს უნდა ჰქონდეთ უფლება მოითხოვონ დებატების ჩატარება, მათ შორის, გადაუდებელი აუცილებლობის ან მიმდინარე საკითხებზე დებატების ჩატვლით; ოპოზიციის წევრებს (ოპოზიციურ ფრაქციებს) უნდა ჰქონდეთ უფლება კომიტეტის სხდომაზე მოიწვიონ გენერალური პროკურორი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

- ანგარიშვალდებული ორგანოები და მთავრობის წევრები პარლამენტს ხელს უნდა უწყობდნენ კონტროლის სრულყოფილად და ეფექტიანად განხორციელებაში, კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ კონსტიტუციითა და რეგლამენტით გაწერილ საპარლამენტო კონტროლის პროცედურებს მაშინაც, როცა მათი ინიციატორი ოპოზიციანია. დროულად უნდა პასუხობდნენ პარლამენტის წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს, ესწრებოდნენ ოპოზიციის მოწვევით კომიტეტის სხდომებს და ა.შ.
- პარლამენტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს საკუთარი რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს, რათა საპარლამენტო ბედამხედველობა ფორმალურ ხასიათს არ ატარებდეს. კომიტეტზე უნდა იწვევდნენ ანგარიშვალდებულ ორგანოთა ხელმძღვანელებს იმის გასარკვევად, თუ რამდენად შესრულდა პარლამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციები. მნიშვნელოვანია, დაინერგოს ეფექტური მონიტორინგის მექანიზმი იმის გასარკვევად, თუ რამდენად შესრულდა თემატური მოკვლევის შედეგად გაცემული რეკომენდაციები.
- საპარლამენტო კონტროლი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ყველა სფეროს უნდა მოიცავდეს. მნიშვნელოვანია, სრულფასოვნად კონტროლდებოდეს სახელმწიფო უსაფრთხოების სფერო. პარლამენტის რეგლამენტში უნდა შევიდეს ცვლილებები, რომლებიც ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოს მეტი უფლებამოსილებით გააძლიერებენ, კერძოდ:
 - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მაკონტროლებელ პარლამენტის კომიტეტთან უნდა შეიქმნას ექსპერტთა საბჭო, რომელიც მუდმივ რეჟიმში გააკონტროლებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და პასუხისმგებელი იქნება პარლამენტის წინაშე. საბჭოს წევრებს უნდა ირჩევდეს პარლამენტი. საბჭომ უნდა გააჩნდეს დამოუკიდებლობის გარანტიები;
 - პარლამენტის სპეციალიზირებული კომიტეტის და საბჭოს რეგლამენტით უნდა ჰქონდეთ დაშვება სახელმწიფო საიდუმლოებასთან, გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ინფორმაცია მიმდინარე ოპერაციების შესახებ.

1. მთავრობისათვის ნდობისა და უნდობლობის გამოცხადება

1.1. მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება

2020 წლის 24 დეკემბერს, ოპოზიციური პარტიების ბოიკოტის ფონზე, პარლამენტმა გამოუცხადა ნდობა მთავრობის ახალ შემადგენლობას.² დანიშნვიდან ორ თვეში, 2021 წლის 18 თებერვალს, პრემიერ-მინისტრი - გიორგი გახარია თანამდებობიდან გადადგა. მმართველმა პარტიამ, პარლამენტს, პრემიერ-მინისტრობის ახალ კანდიდატად ირაკლი ღარიბაშვილი დაუსახელა, რომელმაც, თავის მხრივ, პარლამენტს მთავრობის შემადგენლობა და 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამა წარუდგინა.³ პარლამენტის კომიტეტებმა 20-21 თებერვალს განიხილეს და დადებითად შეაფასეს წარდგენილი მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა, ხოლო 22 თებერვალს პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა ახალ მთავრობას.⁴

2 საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 24 დეკემბრის დადგენილება, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/265981>

3 საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის გამოცხადებისათვის წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და თანდართული სამთავრობო პროგრამა 2021 - 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, 19.02.2021, <https://info.parliament.ge/#law-drafting/21609>

4 საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 22 თებერვლის დადგენილება, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269599>

2. პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება

კონსტიტუციაში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებებით, პრემიერ-მინისტრის ვალდებულებად განისაზღვრა, წელიწადში ერთხელ პარლამენტს წარუდგინოს მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ.⁵


2021 წლის 31 მაისს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტს წერილობით წარუდგინა მთავრობის მოხსენება, რომელიც მოიცავდა ანგარიშს 2020-2021 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.⁶ ზეპირი მოხსენებით ირაკლი ღარიბაშვილი პარლამენტის წინაშე 25 ივნისს წარსდგა.⁷ 2022 წელს პრემიერ-მინისტრმა ყოველწლიური მოხსენება პარლამენტს ასევე 31 მაისს გაუგზავნა,⁸ თავად კი პლენარული სხდომის წინაშე 22 ივნისს წარსდგა.

3. პარლამენტის წევრის კითხვა

პარლამენტის წევრის კითხვა საპარლამენტო კონტროლის მექანიზმია, რომელიც, როგორც წესი, ყველაზე ხშირად გამოიყენება. მექანიზმი გულისხმობს დეპუტატის უფლებამოსილებას კითხვით მიმართოს მთავრობას, მთავრობის წევრს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს,⁹ ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს თუ სახელმწიფო დაწესებულებას.

საანგარიშო პერიოდში პარლამენტის **59**-მა წევრმა სულ **2922** წერილობითი კითხვა გააგზავნა, აქედან 2098 ოპოზიციური დეპუტატის კითხვა იყო, ხოლო 823 - „ქართული ოცნების“ წევრის.

საანგარიშო პერიოდში დასმული სადეპუტატო კითხვების რაოდენობა



5 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 55.5

6 საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, 31.05.2021, <https://parliament.ge/legislation/22381>


7 იქვე, იხ. განხილვის აუდიო ჩანაწერები;

8 სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენება, 31.05.2022, <https://info.parliament.ge/#/law-drafting/24245>

9 მარეგულირებელ კომისიებს, სახელმწიფო ინსპექტორს, გენერალურ პროკურორს, საპენსიო სააგენტოს და სხვა ორგანოებს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის ან სხვა საკანონმდებლო აქტის შესაბამისად, პარლამენტს წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს ან რომლის პარლამენტის წინაშე სხვა სახით ანგარიშვალდებულებას უშუალოდ ითვალისწინებს საკანონმდებლო აქტი.


საანგარიშო პერიოდში დარეგისტრირებულ 2922 კითხვიდან პასუხი 2550-ს გაეცა, 371 კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა.

პარლამენტის წევრის კითხვებზე გაცემული და გაუცემელი პასუხების წილი




პასუხგაუცემელი კითხვებიდან 91 კითხვა ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი დეპუტატის დასმული იყო, ხოლო 280 - ოპოზიციის წარმომადგენლის.

გაუცემელი პასუხების განაწილება ქართულ ოცნებასა და ოპოზიციას შორის



სადეპუტატო კითხვების განაწილება ქართულ ოცნებასა და ოპოზიციას შორის



რაც შეეხება კითხვის ავტორებს, სულ პარლამენტის 59-მა წევრმა გამოიყენა კონტროლის ეს მექანიზმი, საიდანაც 25 მმართველი პარტიის წარმომადგენელი იყო, ხოლო 34 – ოპოზიციის.

საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი სადეპუტატო კითხვა (445) მიხეილ სარჯველაძემ (უმრავლესობა) გააგზავნა, 313 კითხვა გააგზავნა ლევან იოსელიანმა (ოპოზიცია), ხოლო ალექსანდრე ელისაშვილმა (ოპოზიცია) — 284.

10 ყველაზე მეტი სადეპუტატო კითხვის ავტორი პარლამენტის წევრი			
	სარჯველაძე მიხეილ	უმრავლესობა	445
	იოსელიანი ლევან	ოპოზიცია	313
	ელისაშვილი ალექსანდრე	ოპოზიცია	284
	დეკანოიძე ნათია	ოპოზიცია	236
	აქუბარდია თეონა	ოპოზიცია	181
	სამნიძე ხათუნა	ოპოზიცია	177
	კორძაია თამარ	ოპოზიცია	155
	გოცირიძე რომან	ოპოზიცია	135
	სეფაშვილი ეკა	უმრავლესობა	134
	ბოტკოველი გიორგი	ოპოზიცია	126

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილი არიან თანამდებობის ის პირები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში ყველაზე ხშირად ხდებოდნენ პარლამენტის წევრის კითხვების ადრესატები.

ათი თანამდებობის პირი, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში ყველაზე ხშირად მიმართეს სადეპუტატო კითხვებით	
იუსტიციის მინისტრი - რატი ბრეგვაძე	195
შინაგან საქმეთა მინისტრი - ვახტანგ გომელაური	72

ფინანსთა მინისტრი - ლაშა ხუციშვილი	50
თავდაცვის მინისტრი - ჯუანშერ ბურჭულაძე	42
ეროვნული ბანკი	34
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი - მიხეილ ჩხენკელი	33
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - ეკატერინე ტიკარაძე	32
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი - გრიგოლ ლილუაშვილი	29
გენერალური პროკურორი - ირაკლი შოთაძე	24
საგარეო საქმეთა მინისტრი - დავით ბაქალაიანი	24

შემდეგ ცხრილში ჩამოთვლილია თანამდებობის ის პირები, რომლებმაც ყველაზე მეტი კითხვა დატოვეს უპასუხოდ,¹⁰ რითაც დაარღვიეს რეგლამენტის მოთხოვნები.

თანამდებობის პირები, რომლებმაც ყველაზე მეტი სადეპუტატო კითხვა დატოვეს უპასუხოდ		
თანამდებობის პირი	პასუხგაუცემელი კითხვების ოდენობა	გაგზავნილი კითხვების ოდენობა სულ
ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზაძე	12	23
წალკის მუნიციპალიტეტის მერი ილია საბაძე	10	26
კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე	10	23
ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი	9	11
მესტიის მუნიციპალიტეტის მერი კაპიტონ ჟორჯოლიანი	9	23
საქართველოს ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი	8	41
ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი ბადრი ლიპარტელიანი	7	13
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს დავით ბაქალაიანი	6	24

პასუხგაუცემელი კითხვების თემატიკა სხვადასხვა სფეროს მოიცავდა, მათ შორის იყო მოთხოვნილი ინფორმაცია საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი იურიდიული პირების შესახებ. ასევე იყო კითხვები, რომლებიც შეეხებოდნენ რუსეთის სანქციების თემას და ევროკავშირის თვითშეფასების კითხვართან დაკავშირებულ საკითხებს.

სადეპუტატო კითხვაზე პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში, სპეციალური სანქციის ან რეაგირების მექანიზმი პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული არ არის, მიიჩნევა, რომ პასუხის გაუცემლობის პრევენციის არაპირდაპირი ბერკეტია სადეპუტატო კითხვების, მასზე გაცემული, დაგვიანებული თუ გაუცემელი პასუხების გასაჯაროება. პარლამენტის ვებგვერდზე 2016 წლიდან სწორედ ასეთი სისტემა მოქმედებს.¹¹ სისტემა საპარლამენტო ზედამხედველობის ამ ინსტრუმენტზე

10 მონაცემები აღებულია 2022 წლის 12 ოქტომბრის მდგომარეობით.

11 იხ. ბმული: <https://info.parliament.ge/#mpqs>

საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობას ქმნის, თუმცა არ არსებობს შესაძლებლობა, რომლითაც მოხდება დაგვიანებული და პასუხგაუცემელი კითხვების სისტემატიური განხილვა და რეაგირება.

პარლამენტის წევრის კითხვასთან მიმართებაში, [ღია პარლამენტის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმით](#) გათვალისწინებული ერთ-ერთი ვალდებულებაა,¹² რომ პარლამენტის წევრის კითხვებთან დაკავშირებით მოხდეს დეტალიზაცია. კერძოდ, მოქმედ სისტემაში ატვირთულია კითხვები და მიღებული პასუხები, თუმცა სისტემა პასუხად აღიქვამს წერილს, რომლითაც ადრესატი ითხოვს პასუხის გაცემისთვის ვადის გაგრძელებას. სისტემაში ვადის გაგრძელების შესახებ პასუხი შესაბამისი აღნიშვნით გამიჯნული უნდა იყოს სხვა პასუხებისგან და განთავსდეს ცალკე ველში. საკითხი უნდა დარეგულირებულიყო პარლამენტის ვებგვერდზე შესაბამისი, ახალი მოდულის ინტეგრაციით. ეს ვალდებულება პარლამენტს 2021 წელს უნდა შეესრულებინა, რაც არ განხორციელებულა.

4. ინტერპელაცია

ტერმინი „ინტერპელაცია“ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით დამკვიდრდა.¹³

რეგლამენტი განსაზღვრავს ინტერპელაციის პერიოდულობასაც: შეკითხვის ადრესატი პარლამენტში წარდება ყოველი მორიგი სესიის განმავლობაში ორჯერ (საგაზაფხულო სესიის მარტისა და მაისის და საშემოდგომო სესიის სექტემბრისა და ნოემბრის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს).

რეგლამენტის თანახმად, ინტერპელაცია თითოეულ სესიაზე ორჯერ ტარდება, შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში კანონი იძლეოდა შესაძლებლობას, გამართულიყო 6 ინტერპელაცია, თუმცა ამ პერიოდში მხოლოდ ერთხელ, 2022 წლის 27 მაისს გაიმართა.¹⁴

27 მაისის პლენარულ სხდომაზე ინტერპელაციის წესით მოწვეულნი იყვნენ: საქართველოს პრემიერ-მინისტრი - ირაკლი ღარიბაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი - ილია დარჩიაშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი - ლევან დავითაშვილი და იუსტიციის მინისტრი - რატი ბრეგვაძე.

2022 წლის 27 მაისის ინტერპელაცია		
შეკითხვის ავტორი	შეკითხვის ადრესატი	შეკითხვის თემატიკა
ფრაქცია „ქართული ოცნება“	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი - ლევან დავითაშვილი ¹⁵	<ol style="list-style-type: none"> 1. რეგიონში განვითარებული მოვლენების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე 2. მთავრობის ხედვა და მოლოდინები 3. რა ნაბიჯები იდგმება ეკონომიკის სტიმულირებისთვის¹⁶

12 ვალდებულება 3.8, ინიციატორები: „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ (TI-G); „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (GYLA).

13 პარლამენტის არანაკლებ შვიდ წევრს, ან ფრაქციას უფლება აქვს, ინტერპელაციის წესით, შეკითხვით მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს. შეკითხვა უნდა იყოს წერილობითი. შეკითხვის შინაარსი უნდა იყოს კონკრეტული და შეეხებოდეს ადრესატის უფლებამოსილებისათვის მიკუთვნებულ საკითხს. ადრესატი ვალდებულია შეკითხვას პირადად უპასუხოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, რის შემდეგაც იმართება დებატები.

14 აღსანიშნავია, რომ 2021 წლის საგაზაფხულო სესიაზე პარლამენტის წევრთა 7 კაციანმა ჯგუფმა, ინტერპელაციის წესით, შეკითხვებით მიმართა თანამდებობის 4 პირს, თუმცა პლენარულ სხდომაზე თანამდებობის პირთა მოსმენები არ გამართულა, ვრცლად იხ. „მეათე მოწვევის პარლამენტის საქმიანობის ანგარიში“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 26.07.2022, გვ.15, https://transparency.ge/sites/default/files/parlamentis_sakmianobis_angarishi_-_x.pdf

15 იხ. შეკითხვაზე წერილობითი და ზეპირი პასუხები: <https://bit.ly/3T29J8t>; <https://bit.ly/3Mv0ZFa>

16 იხ. სრულად ფრაქციის შეკითხვა: <https://bit.ly/3s2FJNT>

ფრაქცია „ქართული ოცნება“	საგარეო საქმეთა მინისტრი - ილია დარჩიაშვილი ¹⁷	<ol style="list-style-type: none"> 1. ევროკავშირის კითხვარის მომზადების დეტალები 2. მინისტრის აზრით, რაზე გაამახვილებს ყურადღებას ევროკომისია 3. მოლოდინი კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე 4. კითხვარზე მუშაობის პროცესში გამოკვეთილი პრობლემური და წარმატებული მიმართულებები 5. სტატუსის მისაღებად რა დიპლომატიურ სამუშაოებს ეწევა სამინისტრო.¹⁸
პარლამენტის წევრთა 7 კაციანი ჯგუფი ¹⁹	პრემიერ-მინისტრი - ირაკლი ლარიბაშვილი ²⁰	<ol style="list-style-type: none"> 1. რა ღონისძიებებს ატარებს მთავრობა იმისთვის, რომ საქართველოს გამოყენებით არ მოხდეს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების დარღვევა²¹
ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	იუსტიციის მინისტრი - რატი ბრეგაძე ²²	<ol style="list-style-type: none"> 1. რა ღონისძიებები ტარდება მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის კუთხით²³

5. მინისტრის საათი

მინისტრის საათი პარლამენტის რეგლამენტის 2018 წლის რეფორმის შედეგად დანერგილი საპარლამენტო კონტროლის მექანიზმია, მისი ანალოგი ძველ რეგლამენტში არ არსებობდა. მინისტრის საათი გულისხმობს მთავრობის წევრების მიერ პლენარულ სხდომაზე სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ მოხსენებით გამოსვლას. თითოეული მინისტრი (პრემიერ-მინისტრის გარდა) წელიწადში ერთხელ გამოდის პლენარულ სხდომაზე მინისტრის საათის ფარგლებში და სამთავრობო პროგრამის შესრულების ტრილში საკუთარი მიმართულების შესახებ საუბრობს.

მინისტრების პარლამენტის წინაშე წარდგომის განრიგს ადგენს ბიურო, იმგვარად, რომ პლენარული სხდომების დროს, ერთი მინისტრის საათი ყოველ 2 კვირაში ერთხელ მაინც გაიმართოს. მინისტრის მოხსენებას პარლამენტი განიხილავს კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისთვის დადგენილი წესით.

2021 წლის მინისტრის საათის განრიგი ბიურომ 1 თებერვალს დაადგინა,²⁴ რომელშიც, მოგვიანებით, 6 ცვლილება შევიდა.²⁵ 2022 წლის მინისტრის საათის განრიგი პარლამენტის ბიურომ 31 იანვარს დაადგინა²⁶ და საანგარიშო პერიოდში მასში ცვლილებები არ შესულა. ცხრილში მოცემულია საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მინისტრის საათების შესახებ ინფორმაცია.²⁷

17 იხ. შეკითხვაზე წერილობითი და ზეპირი პასუხები: <https://bit.ly/3VrBA3p>; <https://bit.ly/3g1TkSF>

18 იხ. სრულად ფრაქციის შეკითხვა: <https://bit.ly/3CLjll6>

19 დავით უსუფაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, სალომე სამადაშვილი, შალვა შავგულიძე, არმან ახვლედიანი, თამარ კორძაია, დილარ ხაბუღიანი

20 იხ. შეკითხვაზე წერილობითი და ზეპირი პასუხები: <https://bit.ly/3TnLVLM>; <https://bit.ly/3EH1kCQ>

21 იხ. სრულად ჯგუფის შეკითხვა: <https://bit.ly/3yQP5jy>

22 იხ. შეკითხვაზე წერილობითი და ზეპირი პასუხები: <https://bit.ly/3CVddDU>; <https://bit.ly/3yGCorz>

23 იხ. სრულად ფრაქციის შეკითხვა: <https://bit.ly/3Dbdu64>

24 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, არჩილ თალაკვაძის მიერ 2021 წელს წარმოდგენილი მინისტრის საათის განრიგი, <https://info.parliament.ge/#law-drafting/21351>

25 ცვლილებები შევიდა ბიუროს შემდეგი გადაწყვეტილებებით: 15 მარტის N34/16, 17 მარტის N35/2, 22 მარტის N37/16, 13 აპრილის N45/1, 7 სექტემბრის N84/25, 8 ნოემბრის N91/25.

26 პარლამენტის ბიუროს 31 იანვრის N116/12 გადაწყვეტილება

27 მინისტრის საათების ვიდეოჩანაწერები იხილეთ ბმულზე:

<https://parliament.ge/supervision/minister-hours>

საანგარიშო პერიოდში გამართული მინისტრის საათები

№	საქართველოს მინისტრი	მინისტრის საათის გამართვის თარიღი
1	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი	17.02.2021
2	შინაგან საქმეთა მინისტრი	05.03.2021
3	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი	18.03.2021
4	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	28.04.2021
6	თავდაცვის მინისტრი	13.05.2021
7	ფინანსთა მინისტრი	11.06.2021
8	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი	18.11.2021
9	საგარეო საქმეთა მინისტრი	19.11.2021
10	განათლებისა და მეცნიერების მინისტრი	01.12.2021
11	კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი	03.12.2021
12	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი	16.12.2021
13	იუსტიციის მინისტრი	17.12.2021
14	ფინანსთა მინისტრი	17.02.2022
15	შინაგან საქმეთა მინისტრი	17.03.2022
16	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი	14.04.2022
17	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	11.05.2022
18	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი	25.05.2022
19	თავდაცვის მინისტრი	09.06.2022

6. პარლამენტში საქართველოს მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა

კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია, დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომებზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს განუვლი საქმიანობის ანგარიში.

6.1 პლენარულ სხდომაზე მთავრობის წევრის მოსმენის ორი გზა არსებობს: მისი დაბარება და საკუთარი ინიციატივით გამოცხადება.

პლენარულ სხდომაზე მთავრობის წევრის მოსმენის ორი გზა არსებობს: მისი დაბარება და საკუთარი ინიციატივით გამოცხადება.

2012 წლიდან პლენარულ სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევის მექანიზმი²⁸ პარლამენტში არ გამოუყენებიათ, გამონაკლისი არც კვლევის საანგარიშო პერიოდში მომხდარა.


მთავრობის წევრს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელს და სახალხო დამცველს, რეგლამენტი ასევე ანიჭებს უფლებას, საკუთარი ინიციატივით წარდგინდეს პლენარული სხდომის წინაშე.²⁹

საანგარიშო პერიოდში, საკუთარი ინიციატივით, პლენარული სხდომის წინაშე გამოსვლის სურვილით, მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრმა მიმართა, 2021 წლის 13 ივლისს. მინისტრი გეგმავდა, ქვეყანაში, იმ პერიოდში მომხდარი მოვლენების საპასუხოდ (მათ შორის, 5 ივლისის მოვლენებზე) სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე მოხსენებით გამოსვლას. მინისტრის მოსმენა 18 ივლისს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე იყო დაგეგმილი. სხდომის დაწყებისას, სხდომაზე დამსწრე ჟურნალისტებმა პლაკატებისა და ბანერების მეშვეობით გააპროტესტეს 5 ივლისის ძალადობა, რომლის მსხვერპლიც მათი კოლეგა - ლექსო ლაშქარავა გახდა. ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, კახა კუჭავამ, ვადაზე ადრე სხდომა შეწყვიტა, განაცხადა რა, რომ „ასეთ რეჟიმში საკითხის გაგრძელება ნამდვილად არ ემსახურება იმ მიზანს, რისთვისაც შევიკრიბეთ“-ო და დახურა რიგგარეშე სხდომა.³⁰ შედეგად, შსს მინისტრის გამოსვლა პარლამენტის წინაშე არ შედგა.

6.2. კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევა

საანგარიშო პერიოდში კომიტეტებმა და ფრაქციებმა 19-ჯერ დაიბარეს თანამდებობის პირები სხვადასხვა კომიტეტის სხდომებზე, აქედან 7 შემთხვევაში დაბარების ინიციატორი იყო კომიტეტი, რა დროსაც თანამდებობის პირები გამოცხადდნენ კომიტეტის სხდომაზე. ოპოზიციურმა ფრაქციებმა თანამდებობის 12 პირი დაიბარეს კომიტეტის სხდომაზე და არცერთ შემთხვევაში დაბარებული პირები სხდომაზე არ გამოცხადებულან.

თანამდებობის პირების კომიტეტის სხდომებზე დაბარება



28 კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით (მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა) პარლამენტი პლენარულ სხდომაზე იწვევს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს. მოწვევის შემთხვევაში ისინი ვალდებული არიან გამოცხადდნენ პლენარულ სხდომაზე პასუხი გასცენ დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინონ განუული საქმიანობის ანგარიში.

29 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 154-ე მუხლის 1 პუნქტი.

30 „დღევანდელი რიგგარეშე სხდომა დაიხურა - შინაგან საქმეთა მინისტრის მოსმენა დღეს აღარ გაიმართება“, interpressnews.ge, 18.07.2021, <https://bit.ly/3iiQKFR>

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სავალდებულოდ გამოცხადების 2 თვიანი³¹ ვადა გასული არ იყო, თუმცა ეს არ ზღუდავს თანამდებობის პირს, რომ სურლვილის შემთხვევაში, გამოცხადდეს კომიტეტის სხდომაზე. (დეტალურად იხ. ცხრილი)

საანგარიშო პერიოდში პარლამენტის კომიტეტების სხდომებზე ფრაქციის ინიციატივით დაბარებული თანამდებობის პირები			
ინიციატორი	მონვეული პირი	კომიტეტი	კომიტეტის სხდომის თარიღი/კომენტარი
„ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“ საპარლამენტო ფრაქცია (03.06.2021)	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი იუსტიციის მინისტრი შინაგან საქმეთა მინისტრი	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	არ გამოცხადდა ³²
„შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“-ს საპარლამენტო ფრაქცია (23.06.2021)	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	არ გამოცხადდა ³³
„შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“-ს საპარლამენტო ფრაქცია (23.06.2021)	შინაგან საქმეთა მინისტრი	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	არ გამოცხადდა ³⁴
„შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“-ს საპარლამენტო ფრაქცია (06.07.2021)	შინაგან საქმეთა მინისტრი	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	არ გამოცხადდა

31 თანამდებობის პირი კომიტეტის სხდომაზე სავალდებულო წესით დასწრებიდან 2 თვის ვადაში მხოლოდ კომიტეტის უმრავლესობის მოთხოვნის შემთხვევაშია ვალდებული დაესწროს სხდომას.

32 პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, დაბარებული თანამდებობის პირები მზად არიან, ინიციატორის სურვილის შემთხვევაში, თარიღთან დაკავშირებით კონსულტაცია გააგრძელონ.

33 ამ შემთხვევაში კანონი არ დარღვეულა, რადგან პარლამენტის რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში რეგლამენტით განსაზღვრული ვადის დინება ჩერდება და პარლამენტის რეგლამენტის მე-40 მუხლით გათვალისწინებულ ვადებში კომიტეტის სხდომაზე გამოცხადების ვალდებულება აღარ არსებობს.

34 იხ. წინა სქოლიო.

„შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“-ს საპარლამენტო ფრაქცია	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	არ გამოცხადდა ³⁵
„ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“ საპარლამენტო ფრაქცია (31.05.2021)	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი იუსტიციის მინისტრი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი	დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	არ გამოცხადდა
„შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფის“ საპარლამენტო ფრაქცია (24.06.2021)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი	დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	არ გამოცხადდა
„ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“ საპარლამენტო ფრაქცია	კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი	კულტურის კომიტეტი	არ გამოცხადდა ³⁶

კომიტეტის წევრთა უმრავლესობის მიერ 7-ჯერ მოხდა თანამდებობის პირის დაბარება და ყველა შემთხვევაში დაბარებული თანამდებობის პირი გამოცხადდა კომიტეტის სხდომაზე (იხ. ცხრილი).

საანგარიშო პერიოდში პარლამენტის კომიტეტების სხდომებზე კომიტეტის წევრთა უმრავლესობის მიერ დაბარებული თანამდებობის პირები			
პარლამენტის კომიტეტი	კომიტეტის სხდომის თარიღი/კომენტარი	ინიციატორი	მონვეული პირი
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	08.02.2021	კომიტეტი	იუსტიციის მინისტრი
თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი	08.02.2021	კომიტეტი	იუსტიციის მინისტრი
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	08.02.2021	კომიტეტი	იუსტიციის მინისტრი

35 პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარეობდა კონსულტაცია თარიღთან დაკავშირებით, თუმცა ზემოაღნიშნული ფრაქციის გაუქმების გამო საკითხი დარჩა ღიად.

36 პარლამენტისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, კომიტეტის სხდომაზე მინისტრის მოსმენა აღარ შედგა, ვინაიდან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, მინისტრის საათის ფორმატში, მინისტრმა ისაუბრა აღნიშნულ საკითხებზე.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი	08.02.2021	კომიტეტი	იუსტიციის მინისტრი
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	12.04.2021	პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, ლევან იოსელიანისა და პარლამენტის წევრის, ალექსანდრე ელისაშვილის წერილების საფუძველზე, კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით	ეროვნული ბანკის პრეზიდენტი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე; სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი

7. პარლამენტის წინაშე ანგარიშვადგებული სხვა ორგანოების ანგარიშების მოსმენა

პარლამენტი მთავრობის გარდა სხვა ისეთ ორგანოებზე ახორციელებს ზედამხედველობას, როგორებიცაა: საქართველოს ეროვნული ბანკი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და სხვა. ზედამხედველობის მთავარი ფორმა მათი ყოველწლიური ანგარიშების მოსმენაა.

იმ ორგანოების ანგარიშები, რომელთა დაკომპლექტებაშიც პარლამენტი მონაწილეობს, განიხილება პლენარულ სხდომაზე, რის შედეგადაც პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება.

საანგარიშო პერიოდში პარლამენტში სულ **25** ანგარიში შევიდა,³⁷ მათგან 9 ანგარიში საანგარიშო პერიოდში ჯერ კიდევ განუხილველი იყო.³⁸

8. დროებითი საგამოძიებო კომისია

საანგარიშო პერიოდში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე **4** მოთხოვნა იყო დაყენებული ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს, „ლელო-პარტნიორობა საქართველოსთვის“, „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“-ს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“-ს მიერ. საგამოძიებო კომისია მხოლოდ ერთხელ, უმრავლესობის მიერ ინიცირებულ შემთხვევაში შეიქმნა.³⁹

2021 წლის 17 თებერვალს, ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს ინიციატივით, შეიქმნა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია. კომისია შედგებოდა 4 წევრისგან, სადანაც ორი წევრი მმართველ პარტიას წარმოადგენდა, ხოლო 2 დამოუკიდებელი დეპუტატი იყო.⁴⁰ კომისიამ მუშაობა 26 ივლისს

37 იხ. ანგარიშების ჩამონათვალი: <https://docs.google.com/document/d/1h1CWcAobSKpXwfc7w5ilm8Tv6G8wdDvM/edit#>

38 ანგარიშებზე ვრცლად ინფორმაცია იხ. ცხრილში: <https://docs.google.com/document/d/1J1gTLEDetjPQa6bW7iFsoOs1Ry7v0CY/edit#>

39 ვრცლად დროებითი საგამოძიებო კომისიების შესახებ იხ. ცხრილში: <https://docs.google.com/document/d/12PETsAgVucYNrdi57ZWX7TMIjYuTgAdz/edit#>

40 საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2021 წლის პირველი მარტის N30 სხდომაზე განხილული და ცნობად მიღებული ინფორმაციები 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შემადგენლობის შესახებ, <https://bit.ly/3lp9Rsp>

დაასრულა⁴¹ და მიიღო დასკვნა, რომლის თანახმადაც, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები თავისუფალ გარემოში და კანონის შესაბამისად ჩატარდა, დასკვნა პარლამენტმა დადგენილების სახით მიიღო.⁴² დადგენილებას მხარი მმართველმა პარტიამ და პოლიტიკური ჯგუფის - „ევროპელი სოციალისტების“ ერთმა წევრმა დაუჭირა.

9. საჯარო სახსრების მართვის კონტროლი

საჯარო სახსრების მართვის საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებში განვიხილავთ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებს, სახელმწიფო აუდიტის საქმიანობის ანგარიშებს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველი მუდმივმოქმედი ჯგუფის (აუდიტის ჯგუფი) საქმიანობას.

9.1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, მოხსენება 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე, პარლამენტს 20 მაისს გადაუგზავნა,⁴³ ხოლო მთავრობამ, ბიუჯეტის შესრულების ანგარიში – 28 მაისს. პარლამენტმა ანგარიში და მოხსენება ერთად განიხილა,⁴⁴ კომიტეტებმა დასკვნები კანონის ვადის დაცვით გამოაქვეყნეს, ყველა კომიტეტმა მხარი დაუჭირა მთავრობის ანგარიშს და აუდიტის მოხსენებას.⁴⁵ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნა 21 ივნისს გამოქვეყნდა.⁴⁶ დასკვნა იზიარებს აუდიტის სამსახურის მოხსენებაში არსებულ რეკომენდაციებს და მხარს უჭერს ანგარიშის დამტკიცებას პლენარულ სხდომაზე. 26 ივლისს, პლენარულ სხდომაზე განხილვის შედეგად, პარლამენტმა დადგენილებით დამტკიცა მთავრობის ანგარიში საქართველოს 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.⁴⁷

აუდიტის სამსახურმა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე მოხსენება პარლამენტს 2022 წლის 20 მაისს გაუგზავნა⁴⁸ და მისი განხილვა მთავრობის მიერ წარდგენილი 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად დაიწყო 28 მაისს.⁴⁹ საანგარიშო პერიოდში ანგარიში კომიტეტებში განხილული იყო, თუმცა პლენარულ სხდომაზე ის ჯერ მიღებული არ იყო.

9.2. აუდიტის ჯგუფი

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 2020 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამავე კომიტეტის 5 წევრისგან შეიქმნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველი

41 იხ. კომისიის საქმიანობის მასალები: <https://parliament.ge/supervision/investigative-commission>

42 „2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შედეგების შესახებ“, 26.07.2021, <https://info.parliament.ge/#law-drafting/22688>

43 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/274079?>

44 „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე <https://info.parliament.ge/#law-drafting/22124>

45 კომიტეტების დასკვნები „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშზე“, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/276404?>


46 საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტის დასკვნა „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშზე“, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/276402?>

47 საქართველოს პარლამენტის დადგენილება 830-Vრს-Xმპ, 26.07.2021, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/279939?>

48 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე, <https://info.parliament.ge/#law-drafting/24204>

49 „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“, <https://info.parliament.ge/#law-drafting/24240>

მუდმივმოქმედი აუდიტის ჯგუფი.⁵⁰ ჯგუფს საპარლამენტო ბიუჯეტის შეწყვეტის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის წევრი - რომან გოცირიძე დაემატა, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ თავდაპირველად არჩეული რამინა ბერაძე შეცვალა გოგი მეშველიანით, რის შედეგადაც ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა:



აუდიტის ჯგუფმა საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 13 შეხვედრა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს 356 რეკომენდაცია წარუდგინა.

9.3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, 2020 წლის საქმიანობის ანგარიში პარლამენტს 2021 წლის 1 ივნისს გადაუგზავნა. ანგარიშს თან ერთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.^{51 52} პარლამენტმა ანგარიში 22 ივლისს განიხილა,⁵³ ხოლო 26 ივლისს მიიღო დადგენილება, რომლითაც ცნობად მიიღო სახელმწიფო აუდიტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში.⁵⁴

2022 წლის 1 ივნისს აუდიტის სამსახურმა პარლამენტს 2021 წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა,⁵⁵ რომელსაც, აგრეთვე, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, თან ერთვოდა დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარლამენტს წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით დადგენილება არ მიუღია.⁵⁶

50 საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გადაწყვეტილება საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველი მუდმივმოქმედი აუდიტის ჯგუფის შექმნის და დებულების დამტკიცების შესახებ, 22.12.2020, <https://bit.ly/3lwITAb>

51 დასკვნა მოამზადა დამოუკიდებელმა აუდიტორულმა კომპანიამ „ფრაისუოთერჰაუსკუპერსი“ (PwC)

52 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 74, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/275532?>

53 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიშის თაობაზე”, <https://info.parliament.ge/#law-drafting/22338>

54 საქართველოს პარლამენტის დადგენილება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიშის თაობაზე 831-Vრს-Xმპ, 26.07.2021, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/232568?>

55 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/301311?>

56 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, <https://info.parliament.ge/#law-drafting/24246>.

10. ნორმატიული აქტების და ბარდამავალი დახმებების აღსრულების მდგომარეობის კონტროლი

პარლამენტის კომიტეტები აკონტროლებენ თავის გამგებლობისთვის მიკუთვნებულ სფეროში პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას. ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი რეგულაციის არსებული გავლენის შეფასების (ex-post RIA) საპარლამენტო მექანიზმია.

ამ მიზნით კომიტეტები შეისწავლიან და აანალიზებენ აღნიშნული ნორმატიული აქტების ეფექტიანობას, მათი მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს, განიხილავენ მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებებს, ნორმატიული აქტების სრულფასოვნად ამოქმედების ხელშეწყობის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს და იღებენ ზომებს მათი შესრულების უზრუნველსაყოფად.⁵⁷ კომიტეტი ვალდებულია ყოველწლიური სამოქმედო გეგმით განსაზღვროს ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის მიზნით განსახორციელებელი აქტივობები, ვადების და პასუხისმგებელი კომიტეტის წევრის მითითებით.

საქართველოს პარლამენტის კომიტეტები, რომლებმაც გამოიყენეს ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის მექანიზმი

აგრარულ საკითხთა კომიტეტი	„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების კონტროლი (04.02.2021).
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	<ol style="list-style-type: none"> 1. ბავშვის უფლებათა კოდექსის აღსრულების მონიტორინგი (10.02.2021). 2. მიმოიხილა მუნიციპალიტეტებში მიმდინარე სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებით „სოციალური მუშაობის შესახებ“ (№2519-III, 13.06.2018) საქართველოს კანონისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისი ნორმების იმპლემენტაციის პროცესი. წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული (23.09.2021 და 10.12.2021). 3. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მდგომარეობა. კომიტეტმა შეიმუშავა დასკვნა, რომელშიც აისახა რეკომენდაციები შესწავლის შედეგად იდენტიფიცირებული გამოწვევების დაძლევის მიზნით (10.12.2021).
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	<ol style="list-style-type: none"> 1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვა“. 2. საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“. 3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე. 4. საქართველოს მთავრობის მოხსენება „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

57 პარლამენტის რეგლამენტი, 38-ე მუხლის 1 პუნქტი.

	<p>5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე.</p> <p>6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვა“.</p> <p>7. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში“.</p> <p>8. „საქართველოს ეროვნული ბანკის 2020 წლის წლიური ანგარიში“.</p> <p>9. სსიპ – „საპენსიო სააგენტოს 2020 წლის ანგარიში“.</p> <p>10. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებლის 2020 წლის ანგარიში.</p> <p>11. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის მიმოხილვა“.</p> <p>12. სსიპ – საპენსიო სააგენტოს მიერ 6 თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა.</p> <p>13. ფინანსური მომსახურების, დაბეგვრის, ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის მიმართულებით ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2020 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.</p>
<p>ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი</p>	<p>1. განიხილა მის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებული „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მდგომარეობის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი.</p> <p>2. კომიტეტმა დაიწყო ნორმატიული აქტის აღსრულების კონტროლი საკითხზე – „ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ“.</p>

11. თემატური მოკვლევა

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, აქტუალური საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით, პარლამენტის წევრთაგან, კომიტეტის ან პარლამენტის მუდმივმოქმედი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება დაინიშნოს თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომელიც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მთავარ მომხსენებელს.

თემატური მოკვლევის ჯგუფი მოკვლევის დაწყებიდან 3 თვის ვადაში ამზადებს დასკვნას, რომელიც წარედგინება პარლამენტის ბიუროს ან შესაბამის კომიტეტს. ეს ვადა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვით.

საანგარიშო პერიოდში სულ 22 თემატური ჯგუფი შეიქმნა, 10-მა მათგანმა მუშაობა დაასრულა და შესაბამისი დასკვნა წარმოადგინა, ხოლო 12 ჯგუფს საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მუშაობა დასრულებული არ ჰქონდა. ცხრილში იხილეთ დეტალურად თემატური ჯგუფების შესახებ.⁵⁸

58 ინფორმაცია ეყრდნობა პარლამენტის ვებგვერდზე არსებულ მონაცემებს და კომიტეტებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას. ვრცლად ინფორმაცია იხილეთ ცხრილში: <https://docs.google.com/document/d/18yblSCHJQJ6yloi7JdbKvFY6h0pZhyV9/edit#>

12. საპარლამენტო კონსტიტუციური საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე კონტროლს ახორციელებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი და ნდობის ჯგუფი.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე კონტროლს ახორციელებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი და ნდობის ჯგუფი.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მონაწილე ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, უკრაინაში მიმდინარე ომთან და საქართველოსთვის მომეტებულ საფრთხეებთან დაკავშირებით კომიტეტმა ჩაატარა 5 სხდომა დახურულ ფორმატში.

12.1 ნდობის ჯგუფის საქმიანობა

ნდობის ჯგუფი შედგება 5 წევრისაგან, რომელთაგან ერთი არის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ორი – საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ფრაქციის წევრი, ხოლო ორი – საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალი ფრაქციების წევრი. გარდა ამისა, სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მისაღებად, პარლამენტისათვის წარდგენამდე, ნდობის ჯგუფის წევრად დასახელებული პირი შემონმებას გადის „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონით დადგენილი წესით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ნდობის ჯგუფი სრულად დაკომპლექტებული არცერთ ეტაპზე არ ყოფილა, ხოლო 2022 წლის პირველ მარტამდე მასში მხოლოდ „ქართული ოცნების“ წევრი დეპუტატები შედიოდნენ. ჯგუფის დაუკომპლექტებლობის მთავარი მიზეზი ჯგუფის წევრობის კანდიდატი ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის შექმნილი ბუნდოვანი და დაუსაბუთებელი ბარიერები იყო, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ დეპუტატების საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვების პროცედურა თვეების განმავლობაში გრძელდებოდა.

ანალოგიური პრობლემა არ შექმნიათ „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილ კანდიდატებს – ფრაქციამ 2020 წლის 16 დეკემბერს ნდობის ჯგუფის წევრებად წარადგინა ამავე ფრაქციის წევრები: ირაკლი ბერაია, ანრი ოხანაშვილი და ალექსანდრე ტაბატაძე, პარლამენტმა ეს ინფორმაცია ცნობად მიიღო იმავე წლის 29 დეკემბერს.⁵⁹

ოპოზიციურმა პარტიებმა ნდობის ჯგუფის წევრებად წარადგინეს:

- 2021 წლის 9 ივნისს ფრაქციამ „ლელო-პარტნიორობა საქართველოსთვის“ წარადგინა მამუკა ხაზარაძე;⁶⁰
- 2021 წლის 23 ივნისს ფრაქციამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია“ წარადგინა თემურ ჯანაშია;⁶¹
- 2021 წლის 20 დეკემბერს ფრაქციამ „ლელო-პარტნიორობა საქართველოსთვის“ წარადგინა ბადრი ჯაფარიძე⁶² (ფრაქციამ მისი კანდიდატურა წარადგინა მას შემდეგ, რაც მამუკა ხაზარაძემ პარლამენტი დატოვა).

59 საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს მომართვა ნდობის ჯგუფის წევრებად პარლამენტის წევრების ირაკლი ბერაიას, ანრი ოხანაშვილის და ალექსანდრე ტაბატაძის წარდგენის შესახებ, 16.12.2020, <https://info.parliament.ge/#law-drafting/21106>

60 საპარლამენტო ფრაქცია „ლელო-პარტნიორობა საქართველოსთვის“ მომართვა ნდობის ჯგუფის წევრად საქართველოს პარლამენტის წევრის მამუკა ხაზარაძის წარდგენის შესახებ, 9.06.2021, <https://info.parliament.ge/#law-drafting/22353>

61 საპარლამენტო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“-ს მომართვა ნდობის ჯგუფის წევრად საქართველოს პარლამენტის წევრის თემურ ჯანაშიას წარდგენის შესახებ, 23.06.2021, <https://info.parliament.ge/#law-drafting/22380>

62 საპარლამენტო ფრაქცია „ლელო“ - პარტნიორობა საქართველოსთვის“ მომართვა ნდობის ჯგუფის წევრად საქართველოს პარლამენტის წევრის ბადრი ჯაფარიძის წარდგენის შესახებ, 20.12.2021, <https://info.parliament.ge/#law-drafting/23278>







ლელოს მიერ წარდგენილი არცერთი წევრის შესახებ ინფორმაცია პარლამენტს ცნობად არ მიუღია და შესაბამისად, წარდგენილ დეპუტატებს არ მიეცათ ნდობის ჯგუფში მუშაობის შესაძლებლობა. პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარეობდა სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვებისთვის კანონით გათვალისწინებული პერიოდი, რა დროსაც ხაზარაძეს და ჯაფარიძეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება შეუწყდათ.⁶³ თუმცა, ფრაქცია „ლელო“-ს ისინი წარდგენილი ჰყავდა პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტამდე რამდენიმე თვით ადრე, მაშინ, როცა „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი კანდიდატების ცნობას მხოლოდ 13 დღე დასჭირდა.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს მიერ წარდგენილი კანდიდატი - თემურ ჯანაშია, წარდგენიდან 8 თვის შემდეგ, 2022 წლის 1 მარტს ცნო პარლამენტმა ნდობის ჯგუფის წევრად.

გემოაღნიშნული მიზეზების გამო, საანგარიშო პერიოდის დიდი ნაწილის განმავლობაში ნდობის ჯგუფი მხოლოდ 3 წევრისგან შედგებოდა და ყველა მათგანი ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი იყო. რეგლამენტის თანახმად, ნდობის ჯგუფი 5 წევრისგან უნდა შედგებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ნდობის ჯგუფის არასრულად დაკომპლექტების შემთხვევებს გასულ წლებშიც ჰქონდა ადგილი, აღნიშნული პრაქტიკა არ შეიძლება კანონიერად მივიჩნიოთ.

საანგარიშო პერიოდში ნდობის ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობები

2020 წელს განხორციელებული საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ მოხსენებები წარმოადგინეს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალმა შემდეგმა უწყებებმა:

-  დაზვერვის სამსახური (2021 წლის 21 იანვარი, 2022 წლის 11 თებერვალი);
-  შინაგან საქმეთა სამინისტრო (2021 წლის 28 იანვარი, 2022 წლის 9 მარტი);
-  თავდაცვის სამინისტრო (2021 წლის 12 თებერვალი, 2022 წლის 10 მარტი);
-  სპეციალური პენიტენციური სამსახური (2021 წლის 25 მარტი, 2022 წლის 10 მარტი);
-  სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (2021 წლის 14 აპრილი, 2022 წლის 24 იანვარი);
-  სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (2021 წლის 12 აპრილი, 2022 წლის 17 თებერვალი).

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ 2021 და 2022 წლის აპრილში წარადგინა ინფორმაცია მის მიერ განუღიანი საქმიანობის სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიშის შესახებ.

ნდობის ჯგუფის სამმა წევრმა: ბერაიამ, ოხანაშვილმა და ტაბატაძემ განახორციელეს 20 ვიზიტი თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებში.

ნდობის ჯგუფის წევრებმა ორჯერ განახორციელეს სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემოწმება.

საანგარიშო პერიოდში ჯგუფმა 24 სხდომა გამართა, რომლებსაც თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელი პირებიც ესწრებოდნენ.

საანგარიშო პერიოდში პარლამენტის ნდობის ჯგუფმა თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებს 3 რეკომენდაცია წარუდგინა.

63 მამუკა ხაზარაძეს 2021 წლის 16 ნოემბერს შეუწყდა პარლამენტის წევრის სტატუსი, ბადრი ჯაფარიძეს 2022 წლის 15 თებერვალს